სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N01/10/125-17

ქ. თბილისი „30" აგვისტო 2017 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"** წარმოდგენილი - მისი დირექტორის მაკა გვარამიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ **შპს „სერვის 1"** წარმოდგენილი მისი დირექტორის ბართლომე პატარაია სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის წესით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტია - ბიომეტრიული წამკითველი (დასწრების აღმრიცხველი სისტემა), თანმდევი მომსახურება მონტაჟით - კოდი CPV35125110 - ბიომეტრიული სენსორები;

1.2. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, დასახელება და რაოდენობა მოცემულია ხელშეკრულების დანართ N1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **1600,00 (ერთი ათას ექვსასი) ლარს.**

2.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია დანართი N1-ით.

2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ყველა გადასახადს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობთ ეკისრება მიმწოდებელს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი, ვადა და გარანტია

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა 2017 წლის 11 სექტემბერი.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, შემსყიდველის მიერ მითითებული მისამართი.

3.3. შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება საგარანტიო პერიოდი 1 წლის ვადით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

3.4. მიმწოდებელმა, საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი წუნდებული საქონლის შეცვლა ან/და შეკეთება უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებულ შესყიდვის ობიექტზე, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და სამეურნეო განყოფილების უფროსი.**

5. ანგარიშსწორება

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

5.4. საავანსო ანგარიშსწორების მექანიზმი არ გამოიყენება.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველის უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს შესყიდვის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.1.2. რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება;

7.1.3. მოითხოვოს მიმწოდებლისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისერი შესრულება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.3. უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.5.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.5.2. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

8.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მონიტორინგი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე. კონტრაქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების მიმდინარეობის კონტროლს ახორციელებს **სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" სამეურნეო განყოფილების უფროსი და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის შესაბამისი თანამშრომლები.**

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

8.5. შესყიდვის ობიექტის მიწოდება/მონტაჟსა და მომსახურების გაწევის მიმდინარეობაზე შემსყიდველი აწარმოებს მონიტორინგს თანახმად ამ ხელშეკრულების 8.1. პუნქტისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით ან/და ზეპირად შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში-ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 8%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევეში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეებს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.1.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

11.1.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

11.3.1. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.3.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.3.3. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

11.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს ან აღსრულების ეროვნულ ბიუროს თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“	**შპს „სერვის 1“**
მის: თბილისი, ქერჩის ქ. N8	მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი N56;
ტელ: 2 547099	ტელ: 2369124; 2356900; 595343530;
ს/კ: 200280141	ს/კ: 205266148
სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: MIBGGE22
სახაზინო კოდი: 300779921	ანგარიში: GE48PC0053600100017236
დირექტორი	**დირექტორი**
/მაკა გვარამია/	**/ბართლომე პატარაია/**

2017 წლის 30 აგვისტოს N01/10/125-17 ხელშეკრულების დანართი N1

„ფასების ცხრილი“

N	შესყიდვის ობიექტი	მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა/მწარმოებელი ფირმა/ მოდელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	დასწრების აღმრიცხველი სისტემა - ბიომეტრიული წამკითხველი	პროცესორი 533 MHz dsp. მახსოვრობა 8 MB flash + 8 MB RAM. იდენტიფიცირების სიჩქარე 1:2000 შაბლონი წამში. დაქტილოსკოპიური სენსორი 500 dpi. ბარათის სტანდარტები (EM),HID Prox, Mifare, iClass, FeliCa® iDM, CEPAS. მომხმარებლების რაოდენობა არანაკლებ 10000 შაბლონი (5000 მომხმარებელი). მომხმარებლების რაოდენობა არანაკლებ 5000. მუშაობის რეჟიმი თითის ანაბეჭდი, ბარათი, ბარათი + თითის ანაბეჭდი. ინტერფეისი TCP/IP,Wiegand, RS485, in/out TTL, რელე. ბიომეტრული წამკითხველი თავსებადია biostar-ის პროგრამულ უზრუნველყოფასთან; მონტაჟით.	კორია, Suprema, BEPL-OC BioEntry Plus (EM)	1	1350,00	1350,00
2	კვების ბლოკი	წამკითხველს მოყვება კვების ბლოკი POWER SUPPLY NU-03B	ჩინეთი,nordson, NU-03B	2	85,00	170,00
3	აკუმლატორი	ელემენტი 12V7Ah, ავტონომიურ რეჟიმში მუშაობის ხანგრძლივობა არანაკლებ 7-სთ.	იტალია,Bigbat, 12V7Ah SLA Battery	2	40,00	80,00
					სულ:	1600,00

შემსყიდველი
სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“

დირექტორი
/მაკა გვარამია/

მიმწოდებელი
შპს „სერვის 1“

დირექტორი
/ბართლომე პატარაია/

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

თბილისი **30 აგვისტო 2017 წელი**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი, ვადასტურებთ, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში - შპს ,,სერვის 1“-თან.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორი	*მაკა გვარამია*
დირექტორის მოადგილე	*თეიმურაზ ჯიშკარიანი*
დირექტორის მოადგილე	*სოლომონ როსტომაშვილი*
სახელმწიფო შესყიდვების და საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი	*ალექსანდრე კავთიევსკი*
მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	*ივანე ქავთარაძე*
ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი	*თეა შანყულაშვილი*
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	*ოთარ ელბაქიძე*
სახელმწიფო შესყიდვებისა და საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი სპეციალისტი	*თეა მაჭავარიანი*